სამშობლო

სამშაბათი,
5 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლ[illegible]
4 მ. ცალკე ნომერი თითო [illegible] დამა-ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერთ [illegible] განცხ. ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრ[illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 327 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 327

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთის ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე

„სამშობლო“-ზე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურად გაზეთი ღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურად 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაწესებულებათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

ღრმად დამწუხრებულნი ივანე მახვილის ძე და კატო ივლიანეს ასული ცინცაძენი შვილებით, მარიამ ალექსანდრეს ასული ცინცაძისა, დიმიტრი ივლიანეს ძე, და ბაბილინა კონსტანტინეს ასული ანთაძენი. ლენა (ელენე) ივლიანეს ასული და სერგო პორფირეს ძე გოგსაძეები, ბაბილინა ივლიანეს ასული და კვირის ივანეს ძე ქავთარაძეები გულითადის მწუხარებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველთა ერთადერთი ქალიშვილის, მეორეთა დის მესამეთა შვილიშვილის და დანარჩენთა დისწულის და ცოლის დისწულის

გალინასას.

გასვენება მიცვალებულისა ფერიის სასწავლებლის შენობიდან ბათუმის სადგურზე და იქიდან დაბა ლანჩხუთში დანიშნულია 5 აპრილს, დილის $7^1/_2$ საათზე. დასაფლავება ლანჩხუთის ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში 6 აპრილს, დილის ათ საათზე.

128 2—1

კვირას, 3 აპრილს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სტეფანე ავგუსტინის ძე ფირალოვი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ: მეუღლე მისი ჟოზეფინა ლუკას ასული ფირალოვისა, დები: მარიამ ავგუსტინის ასული ოცხელისა, გრაცია ავგუსტინის ასული ქილარჯოვისა, ძმისწულები: ავგუსტინე და პეტრე ლევანის ძენი ფირალოვები. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 5 აპრილს, საკუთარი სახლიდან აზორინის ქუჩა, და წაასვენებენ კათოლიკეთა ეკლესიაში $9^1/_2$ საათზე. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე ამავე დღეს. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს $6^1/_2$ საათზე.

129 1—1

ოთხშაბათს, 6 აპრილს, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

ნიკო (ბახვა) გიორგის ძის კიკაბიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებული პირისუფალი: ქვრივი აგრაფინა კიკაბიძისა, შვილები: დათიკო და კოტე, ძმები: ნესტორ და კოწია კიკაბიძეები დებითა და რძლით.

327 1—1

აბრეშუმის თესლი.

უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საბრეშუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, უკვე ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ **ბადიკ კოსერი.**

92 თ.

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.

მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3

113 1—თ.

ბებია მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვაილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

6 აპრილს, საღამოს 7 საათ., შავი-ზღვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში

მოხდება ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების

წევრთა კრება.

განსახილველი საგნები:

1. მევენახეობის მდგომარეობა ჩვენში და საწამლო მასალები; 2. სამეურნეო საზოგადოების უახლოესი მიზნები: 3. მეაბრეშუმობა და აბრეშუმის თესლის შეძენა; 4. სათესლე და საკვები სიმინდი ქუთაისის მაზრაში. ახალი წევრების მიღება.

324 2—1

მცხოვრებთა საყურადღებოდ.

მოკლე ხნით ისყიდება კარგი ხარისხის

ნიგოზი

(დაურჩეველი კაკლათ) **გირვანქა 20 კაპ.,** პუშკინის ქუჩა, სახლი ი. გოკიელოვის შვილებისა, ფოტოგრაფია „პუშკინის“ პირდაპირ. სიადვილისათვის გამზადებულია 5 და 10 გირვანქიანი ტომსიკები, შეიძლება ფუთობით 7 მან. 50 კ.

321 3—1— 35-7

ს.|ს. **ი. გოკიელის** შვილების

ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მიიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.

დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს.

თ. 60

ყველასაგან ცნობილი საუკეთესო

აბრეშუმის თესლი

ძმ. პასხალიდებისა

მიღებულია განსაზღვრული რაოდენობით. თესლი შემოწმებულია და ბეჭედ დასმული ოსმალურსა და ფრანგულ ენებზე **პასხალიდის** ფირმისა. ვისაც სურს შეიძინოს, მიმართონ: ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე სასტუმრო ერმიტაჟში, ბ. სტავრიდის და ალექსანდრე ქუჩა, ნიკიფორე ჯანელიძის მაღაზიაში.

2—1

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლერმონტოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87.

14 თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი

2 თ.

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2.

11 თ.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

10

ბეითალი პ. ვ. ნეურონოვი ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ.

თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

დვინის რაიონში 1 აპრილს ღამით ჩვენი მსროლელები დრინლევას ნაწილში იერიშით წავიდნენ და სოფ. გორბონის ჩრდილოეთით მავთულის ხლართების გარღვევის შემდეგ ამ სოფლის ჩრდილო-დასავლეთით დაიკავეს ორი მაღლობი.

მტერს ჩვენ მიერ დაკავებულ მაღლობებზე განუწყვეტლივ იერიში მოჰქონდა, მაგრამ უშედეგოთ. ბრძოლის ველზე მტერმა ბევრი მოკლული დასტოვა. მადაილისა და ნაროჩის ტბების ყელში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. საარტილერიო მზადების შემდეგ სმორგონის რაიონში გერმანელთა რაზმი შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. სადგ. სლიკთან ჩვენმა ძალებმა წინ წაიწიეს, სადაც გამაგრდნენ კიდეც, მიუხედავად მტრის განუწყვეტელი წინააღმდეგობისა. ტრიბუხოდზე ავსტრიელები ხიშტიანი შაშხანებითა და ხანჯლებით შეიარაღებულნი მოუახლოვდნენ ჩვენს თხრილებს და ყვირილით გვამცნეს იარაღის დაყრა, შემდეგ კი მოულოდნელად ბრძოლა აგვიტეხეს. 1 აპრილს ჩვენმა ჰაეროპლანებმა სადგ. ზუჩკასა და ჩერნოვცის 50 ყუმბარა ესროლეს. ყველა ჰაეროპლანი უვნებლად დაბრუნდა.

3 აპრილი. მოპირდაპირის არტილერია ყუმბარებს უშენდა იკსკულის სახიდო სიმაგრეებს. სმორგონის სამხრეთ რაიონში გერმანელებმა ორ აპრილს განთიადისას იერიშები მოიტანეს. მტერი ცდილობდა წინ წამოწევას, მაგრამ ვერ შესძლო ჩვენის ცეცხლის წყალობით. საიერიშო მომზადების დროს მტერმა მხრჩოლავი გაზი იხმარა. ოლიკის სამხრეთით რამდენსამე ალაგას წინ წავიწიეთ.

კავკასიის ასპარეზი.

ბითლისის რაიონში ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავამარცხეთ ოსმალოს ერთი დივიზია, რომელიც ახლახან გამოგზავნეს სტამბოლიდან. გაქცეულ მტერს ჩვენი ჯარი სდევნის. ბრძოლის დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 13 აფიცერი და 350 ასკერი.

შავი ზღვის ნაპირა რაიონში, ჩვენმა ჯარმა მედგარი ბრძოლის შემდეგ, ხმელეთისა და ზღვის არტილერიის დახმარებით უკუაქცია ოსმალონი მდ. კარა-დარეს მარცხენა ნაპირზე კარგად გამაგრებულ პოზიციებიდან, რომელიც ტრაპიზონიდან 25 ვერსითაა დაშორებული. ჩვენი ნაწილები განაგრძობენ ენერგიულ დევნას. მოპირდაპირის მიერ მრავალჯერ

მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი).

კავკასიისა და ოსმალეთ სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარი წინ წავიდა. შავი ზღვის ნაპირას მდ. ყარა-დარეს გაღმა ერთ დიდათ გამაგრებულ სიმაღლეზე გაიმართა ბრძოლა, რომელშიც ოსმალნი ისევ დამარცხდენ. ოსმალებმა უკან დაიხიეს, რუსეთის ჯარი მას უკან დაედევნა; ასე, რომ ახლა იგი ტრაპიზონს აღმოსავლეთის მხრიდან 25 ვერსით დაუახლოვდა. რუსეთის ჯარმა რამდენიმე დღის სასტიკი ბრძოლის შემდეგ ბითლისის რაიონში ოსმალთა მედგარი იერიშები უკუაგდო.

რუსეთისა და ავსტრია გერმანიის ასპარეზზე რუსეთის ჯარმა დვინსკის რაიონში 1 აპრილიდან სტ. გორძინსკთან შეტევა დაიწყო; გერმანელების მავთულიანი ოთხი ზღუდე გაარღვია და ორი მაღლობი დაიკავა. გერმანელებმა ამ მაღლობებს ზარბაზნებიცა და თოფებიც დაუშინეს, მერე კონტრიერიშებითაც მოვიდნენ, მაგრამ რუსების იქიდან განდევნა მაინც ვერ შესძლეს. სამაგიეროდ გერმანელებმა ახლა ნაროჩისა და მადზიოლის ტბებ შუა და სმორგონის რაიონში საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს. სმორგონის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში შეტევაც სცადეს, მაგრამ უშედეგოთ. რუსეთის ჯარმა კი ამავე რაიონში სლოკას სადგურის ახლო რამდენიმეთ წინ წაიწია. სამხრეთის ფრონტზე ტრეიბუხოვცას აღმოსავლეთით ავსტრიელებმა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ შემდეგ ხერხს მიმართეს: ქვეითა ჯარის რაზმი წამოვიდა იერიშით და როცა რუსეთის ჯარის სანგრებს მოუახლოვდა თოფები მიწაზე დაყარა, ხელები მაღლა ასწია და დაიყვირა: ტყვეთ გნებდებითო. მაგრამ როცა რუსები მოუახლოვდენ და იარაღის ჩაბარება მოინდომეს, იძვრეს დამალული ხანჯლები და დაერივნენ რუსებს; რითი გათავდა ეს ხელჩართული ომი, ამას დეპეშში აღარ გვაუწყებს. სხვაგან ამ ფრონტზე საყურადღებო არაფერი მომხდარა. გერმანელები იკსკიულზე ყუმბარების ცემას კვლავ განაგრძობენ.

საფრანგეთის ფრონტზე მხოლოდ ვერდენთან განაგრძობდენ ბრძოლას. ამ დღეს ახალი აქ არაფერი მომხდარა დეპეშა აღნიშნავს, რომ გერმანელებს იერიში მოჰქონდათ 304 № სიმაღლეზე ენის და მორტომის რაიონშიო. და მარტომის რომელ სიმაღლეს უშენდენ ყუმბარებს ამას არ სწერენ. სჩანს გერმანელებს მარტომის სიმაღლე და სხვა სიმაგრეებიც გარდა 304-ისა ხელთ უპყრიათ. გერმანელები ვევრის რაიონშიაც გაორკეცებული ენერგიით აწარმოებენ საარტილერიო ბრძოლას. მხოლოდ დეპეშაში ნათქვამია, რომ ფრანგებმა ლოუმონთან შეუტიეს და გერმანელების რამდენიმე სანგარი დაიკავესო. ერთი სიტყვით ბრძოლა აქ ამ უკანასკნელ დროს მაინც თითქმის განუწყვეტლივ ხელჩართულ ომს წარმოადგენს.

ბალკანეთის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. სადარაჯოებზე გევგელთან მოწინააღმდეგე რაზმთა შორის ხშირი შეტაკებაა. შეტევასთან იერიშს ჯერ ვერც ერთი მხარე ვერ იწყებს.

მესოპოტამიაში ინგლისის ჯარმა მდ ტიგრის ნაპირებზე რამდენიმეთ წინ წაიწია.

* * *

ტანილი იერიში ბაიბურთის მიმართულებით, მტრისათვის დიდი ზარალით დასრულდა.

დანარჩენი დეპეშები იხილეთ მე-4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ზ ა ვ ი.

„რუსკოე სლოვოს" სამხედრო მიმომხილველი, ცნობილი პეტროვი გერმანელებს და მათ მიერ მოთხოვნილ ზავს შემდეგი ვითომდა დამახასიათებელი ფერადებით გვიხატავს:

„გერმანელებს, როგორც ყველაფერში დახელოვნებულ ხალხს, როცა რა დასჭირდებათ შეუძლიათ სწორეთ ის გაიჩინონ. სჭირდებათ კანტი, — კანტს გააჩენენ, რომელიც სამარადისო მშვიდობიანობის მოძღვრების მამამთავრად ითვლება; და თუ მათ მძიმე გამანადგურებელი მუშტი დასჭირდათ, მაშინ ბ-ნ კრუპს გამოატყვრევენ. აი ახლაც, როცა ამ ბოლო დროს გაუჭირდათ და ომის შეწყვეტა მოინდომეს, მთელი გუნდი -გაბედულის. დ—სა" გამორეკეს (?), რომლებიც ზავს მოითხოვენ. სად იყვენ წინად ეს მოციქულები, როცა ომი თანდათან ძლიერდებოდა და ქვეყანას განადგურებით ექადოდა? მაშინ ისინი ნებით (!) თუ უნებლიეთ სდუმდენ. ახლა კი, როცა გერმანიას გაუჭირდა (?) ზავზე ყვირიან. ყვირიან და გერმანიის მთავრობაც ხელს არ უშლის... რათ დასჭირდა ახლა გერმანიას ზავი? ვეშაპმა იღრიალა და მოულოდნელად გაითარეშა: სადაც რას წააწყდა ყველაფერი ჩანთქა: ერთ ადგილას ხარი წამოაქცია, მეორე ალაგას ცხვარი ჩაყლაპა, აქ ბაღლი გადასანსლა, იქ კიდევ სხვა რამე და მერე, როცა დაინახა, რომ ის წინააღმდეგ ადამიანის ხელთაა მხელი ტყე, აღიმართა კეტებით შეიარაღებული უთვალავი ლაშქარი მასთან საბრძოლველად დაირაზმა, მაშინ მან ხრინწიანის ხმით მორთო ყვირილი: კაცობრიობის კეთილდღეობაზე, მშვიდობიანობის საჭიროებაზე და სხვა ასეთ სიკეთეზე...

ომი არავისათვის სასიხარულო არაა, ამბობს ქვევით პეტროვი სახელმწიფოს არაქათს აცლის, ხალხს უზომოდ ტვირთავს, კერძო პირებს ვაებასა და გაუსვლელ მწუხარებაში აგდებს; და აი ასეთი უბედურების, დამღუპველ მოვლენის, ომის ცეცხლის კერა კრუპის გერმანია იყო და მას სურს შემდეგშიაც ასეთად დარჩეს. მასთან მისი სურვილისამებრ ზავის ჩამოგდება საჭირო არაა. მას ზავის პირობები უნდა უკარნახოს ინგლისმა, ბელგიამ, რუსეთმა, სერბიამ, საფრანგეთმა და იაპონიამ; და ასეთი ზავის პირობებს ზემოხსენებული ქვეყნები გერმანიას დღეს თუ არა ხვალ მაინც მართლაც წაუყენებენ. ამას გერმანია თვითონვე კარგათ გრძნობს და ამიტომაც არის, რომ იგი ს. დ. ზავზე ლაპარაკის და მსჯელობას ნებას აძლევს".

გერმანიის სამზადისი და მისი განზრახვა.

„რუსკი ინვალიდი" სწერს: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟამათ გერმანიის მთავარი შტაბი დიდ სამზადისშია. უცხოეთის პრესა ერთხმათ აღნიშნავს, რომ გერმანია რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტისაკენ თავის დიდი ძალების გაგზავნასთან ერთათ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ასამოძრავებლადაც ემზადება თუ ახლა გერმანელები ჯერ კიდევ ენერგიულ შეტევას არ იწყებენ დვინის ფრონტზე, ამის მიზეზი მხოლოდ ჯარების ჯერ კიდევ თავმოუყრელობაა. ყოველ შემთხვევაში გერმანელები რიგას და დვინსკის რაიონებს არც ახლა სტოვებენ უყურადღებოთ. როგორც ეტყობათ გერმანელები იკსკიულის სიმაგრეებს მანამ არ მოეშვებიან, ვიდრე რუსეთის ბრძოლის ხაზს ამ ფრონტზე სადმე არ გაარღვევენ და მდ. დვინის ორივე ნაპირზე არ დამკვიდრდებიან. რაც შეეხება ტბა ნაროჩის რაიონში და მის ჩრდილოეთით ბრძოლას, ეს მხოლოდ დემონსტრაციათ დარჩება.

ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებაში.

2 აპრილს, ქალაქის თეატრში დაიწყო ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრებები.

ამ კრებაზე ერთმანეთთან შესახვედრად მოემზადა განსაკუთრებით ორი ჯგუფი: ფედერალისტები და ნაციონალ დემოკრატები.

ფედერალისტებს შავს აძლევდენ დასელებიც, თუმცა ფედერალისტებმა წინდაწინვე მოინდომეს დასელების გულის მოგება და განაცხადეს სურვილი მათთან შეთანხმება-შეერთებისა. (იხ „მეგობარი" 2 თებერვლის თარიღით, № 121)

წარსულ წლებში, უკანასკნელ კრებების სამზადისამდე, დრამატიულ საზოგადოებას სულ ჰყავდა 77 წევრი. (იხილეთ 1915—16 წ. ანგარიში.) ეს სასაცილო, ქუთათურების სრული გულგრილობის დამამტკიცებელი და დრამატიულ საზოგადოების გამგეობის; (რომელსაც ყოველთვის ფედერალისტები თავმჯდომარეობდენ) უმოქმედობის მაჩვენებელი რიცხვი უცბად 598 მდე გაიზარდა, რადგანაც ფედერალისტებმა მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინეს. მეკინჭეები სოფლებიდანაც კი ჩამოიყვანეს.

ამ კრებაზე დიდი ხმის უმეტესობით გამარჯვებულნი დარჩნენ ფედერალისტები.

ეჭვი არ არის, ასეთი გამარჯვების გამო ფედერალისტები დიდ-განგაშს ასტეხენ და მთელს საქართველოს ამცნობენ, რომ ერთადერთი ძლიერი დასი ჩვენში ისა ყოფილა, მას ჰყოლია ხალხიცა და ჰქონია გავლენაც!

ჩვენ გვინდა სრულიად მიუდგომლად, შეუხამებლათა და სრულის გულისტკივილით აღვნიშნოთ ის არადემოკრატიული და ყველა ფაქიზი ადამიანის აღმაშფოთებელი გარემოებანი და საქციელი, რომელთაც ხელი შეუწყვეს ფედერალისტებს და რომლებიც უეჭველია ჭკუას ასწავლის ახლად გამოსულ ჯგუფს ეროვნულ დემოკრატიისას.

ჩვენ გვრწამს, რომ „პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსია", ხოლო რამდენად ნამუსიანი და ადამიანურია, ან რამდენად ამტკიცებს ფედერალისტთა პოლიტიკურ სიფაქიზეს ყველა ის, რაც ფედერალისტებმა ჩაიდინეს ამ კრებაზე, დაე, თვით პირუთვნელმა მკითხველმა განსაჯოს!

1) ამ სამი წლის წინად დრ. ს. საზოგადო კრებამ გადასწყვიტა დაეკლო საწევრო გადასახადი სამი მანეთიდან ერთ მანათამდე. გამგეობა პრაქტიკულად კიდეც ასრულებდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მოუტყვებელ დაუდევრობამ [illegible] მთავრობას ჯეროაც ვერ დაიმ[illegible] [illegible] ვლილი წესდება, რაც გაჭი[illegible] დროს საშუალებას მისცემდა [illegible], თუ სამართლიან მხარეს [illegible] ჩივრებისას. ამ გვარის მდგომარეობით ისარგებლა გამგეობამ და უკანასკნელ კრებისათვის თავის ნებით, საზოგადო კრებას დაუკითხავად, საწევრო ფული ისევ სამ მანათამდე ასწია,*) რამაც ხელ-ფეხი შეუკრა ქუთათურ დაბალ ხალხს, დემოკრატიას, დასწრებოდა კრებას ამ გვარის თვითნებობით გამგეობამ ორგვარი [illegible] და უკანონობა ჩაიდინა.

ა) ძალზე შეამცირა თავის მოწინააღმდეგეთა რიცხვი კრებაზე.

ბ) თვითონ კი ნისიათ შემოიყვანა თავისი მომხრეები, რადგანაც ძალა უფლება და საკვიტანციო წიგნაკები მის ხელში იყო.

ჩვენ ვამტკიცებთ (და გამგეობასაც ვაიძულებთ აღიაროს) რომ პირველი კრების გახსნის დროს, ე. ი. 2 აპრილს, საღამოს 7 საათზე ჩვენ მოწინააღმდეგეთ ყველა მომხრე—წევრს, ფული არა ჰქონდა გადახდილი, ნისიად იყვნენ დაშვებულნი და, მაშასადამე, რამდენიმე ათეული ხმა უკანონოდ მიიღეს. (მგონია, ასი ხმა).

2) გამოუცვალეს სტუდენტ-მოწაფეებს ტანისამოსი და ხალხის მოსატყუებლად „მოქალაქის" სახით ხმა მისცეს. (თუ საჭირო შეიქნა ასეთ ფერისცვალია სტუდენტ-მოწაფეების გვარსა და სახელს დავასახელებთ).

3) თითო თავის მეგობრის ოჯახში არ დასტოვეს არც ერთი მცირე წლოვანიც კი და ყველანი კრებაზე მორეკეს, ალბად, ნისიად. (მაგალითად ვიღაც რუხაძის ოჯახიდან ბ. გ. სვანიძის მიერ მოყვანილი ჩვენ დავითვალეთ 15 მდე ხმა მაინც: მათში ერია სრულიად ახალგაზდა ქალიშვილებიც 15—16 წლისანი)

4) ჩვენ ვიცით, რომ ფედერალისტი მასწავლებელნი პროპაგანდას ეწეოდენ მოწაფეთა შორის. მათვე მოიყვანეს კლაკიორები—მოწაფეთაგან, დასხეს ქანდარაზე (მარჯვნივ, მარცხნივ და პირდაპირ) მათმა ღრიალმა და ტაშის ცემამ ყური სმენა წაიღო.

პროპაგანდა მოწაფეებში—დიდი ბოროტებაა: არც ერთი მომწიფებული, თავის ქვეყნისა და ხალხის გულშემატკივარი პარტია, არ იკადრებს მოწაფეებში აგიტაციის გაწევას, ეს გარყვნა და გათახსირებაა ახალთაობისა, მათი აზროვნებისა და თავისუფალი ნების შეზღუდვა-შებო-

---

*) მაშინ ხომ ასე ვერ გაინავარდებდნენ ჩვენი ფედერალისტები.

ახ. ამჟუღბი.

გამარჯვება??

(განცდა)

> უზრობა ბევრი გადებისაგან გადმონაცემი მოძღვრება, ვითომც შეუვნებელი, შიგჰრელი **ბრბო**, და **ხალხი** ერთი და იგივე იყოს.
>
> **იბსენი.**

ორი აპრილის საღამოს შვიდი საათისთვის აჩქარებული ნაბიჯით გავსწიე ქუთაისის ქალაქის თეატრისაკენ.

დრამატიული საზოგადოების წლიური კრება იყო დანიშნული.

თეატრის შესავალ კარებთან ხალხი ბუზივით ირეოდა. შიგ კარებში კი ჩაედგათ სტოლი და გამგეობის ერთი წევრთაგანი შემსვლელ წევრებს თავის ხელმოწერილ ბილეთებს ურიგებდა, რომ აღუნიშნავად დარბაზში არავინ შესულიყო

ჩვენ, ქართველები, ჯერ იმდენად უწვრთნელნი და უზრდელნი ვართ, რომ ყოველივე ჩვენი მოვალეობის აღსასრულებლად მაინც ხელმძღვანელნი გვჭირია, სულ ერთია პოლიციელი იქნება იგი, თუ წევრი რომელიმე გამგეობისა.

ნდობა და ერთმანეთის პატივისცემა ხომ ჩვენთვის არ არსებობს. ევროპიულად ჩაცმულნი და რუსულად განათლებულნი ჯერ კიდევ აზიელები ვართ და აზიელს თუ არა სცემე, თურმე ისე არ დაჰკვიანდება.

ამბობენ, წესიერებისა და რიგის დასაცველად განათლებულ ქვეყნებშიც ასე ყოფილა და ეს ცოტა არ იყოს გულს გვიკეთებს.

სჩანს, არასოდეს არ დადგება ისეთი დრო, რომ ადამიანს შეეძლოს თავისი მოქალაქეობრივ დანიშნულების თავისუფლად და თავისებურად აღსრულება.

რამდენადაც ვიცი, ქუჩიდან ჩვენ თეატრს სამი შესავალი კარი აქვს, მაგრამ მხოლოდ ერთი კარები გაეღოთ და ისეთი ზედახორა იყო, რომ ამ კარებში შემსვლელს თავის დღეში არ დაავიწყდება:— რა სასიამოვნოა გვერდების დაზელვა, ან „სხვის ქონების მოტრფიალეთა" ჯიბეებში ხელის ფათური.*)

ალბად, მარტო ჩვენ,—მოქალაქენი—არა ვართ მოუსაზრებელნი, ამ სენით ჩვენი ხელმძღვანელნიც ყოფილან ავად, რომ სამივე კარები არ გაეღოთ.

როგორიც ერიო, ისეთი ბერიო!—ნათქვამია.

რის ვაივაგლახით გავარღვიე შეჯგუფული ხალხი, ერთი ვიღაც შელერებული ცირა კინაღამ კედელს არ მივაჭეჭყე, თუმცა ბოლოში კი მოვიხადე, გამოვართვი პატივცემულ ც. მდივანს ბილეთი და შევედი დარბაზში.

„ჩვენი ქვეყნის მხსნელნი" „მემარჯვენეს" მეძახიან და მეც მარჯვნივ ლოჟებისაკენ გავსწიე და ერთერთ ცარიელ ლოჟაში მოვიკალათე

დარბაზს თვალი გადავავლე.

ჩემს გარდა, ჯერ რამდენიმე კაცსა თუ ქალს მოესწრო შემოსვლა, თუმცა უკვე რვის ნახევარი იყო...

— როდის გველირსება კრების დაწყება, თუ ასე კინკილით შევიკრიბენით-მეთქი, გავიფიქრე, და, რადგანაც ქართველები დროს არ ვაფასებთ, დიდის მოთმინებით აღვიჭურვე და კვლავ დარბაზს თვალი შემოვავლე.

მხოლოდ ახლა დავინახე, რომ მარცხნივ, ჩემს ალმაცერად, ,,ლიტერნი'' ლოჟაში გამოჭიმულიყვნენ ჩვენი მოღვაწეები: თავადი კიტა აბაშიძე, ბანკის დირექტორი იაკობ ფანცხავა, ამავე ბანკის მოხელე და ქართული გიმნაზიის მასწავლებელი პეტრე ყიფიანი. ამათ გარდა ამავე ლოჟაში ბრძანდებოდენ დიდათ პატივ ცემული პოეტი და გრამატიკოსი სილოვანი, თავადი პიპინიე მიქელაძე და ბ ნი გრ გველესიანი

არ ვიცი შემამჩნიეს თუ არა, რადგანაც ქვეყნად ბევრია ისეთი ხალხი, რომელიც თავისთავისა და თავის ხელქვეითების მეტს არავის ხედვენ ხოლმე, მაგრამ მე კი მათ თვალს არ ვაშორებდი.

თავის ქვეყნის მოამაგეებზე უკეთესს რას ნახავს ადამიანის თვალი?

ჩვენი პატივცემული მოღვაწენი დრო და დრო ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდენ, იღიმებოდენ, სათვალეებს ისწორებდენ (ვისაც ჰქონდა, რასაკვირველია) და კვლავ ფიქრებს ეძლეოდენ. ალბად, გუნებაში ითვლიდენ თავის მომხრეებს ბ-ნი პეტრე ყიფიანი კი ისე დაღვრემილიყო, რომ, უეჭველია, ახალ ,,კომბინაციას'' იგონებდა თავის ყურმოჭრილ ჯარის ,,გადასაყვან გადმოსაყვანად''.

ოო! ღმერთო შევცოდე დიდი ,,ხიტრი'' ვინმეა—მეთქი, ძალაუნებურად გავიფიქრე, მაგრამ უცბად ენაზე ვიკბინე. შემეშინდა ბ ნი სილოვანი არ მიხვედრილიყო, რომ გუნებაში რუსული სიტყვა გავიელვე.

ამ დროს გადაიხსნა ლოჟის უკანა ფარდა და ბ-ნი გრ., ლალიძე შემოეყუდა ღიმილითა და მოწიწებით მიესალმა ლოჟაში მყოფთ, პეტრეს რაღაცა წასჩურჩულა და ჯენტლმენივით განზე ჩამოდგა, თუმცა ძალზე ქშინავდა და ცარიელ ხელით შუბლიდან ოფლს იწმენდდა.

— ალბად ,,კენჭების მოსატანად'' იყო-მეთქი გავიფიქრე ჩ დავუმატე—რას იზავს კაცი, თუმცა ხალხის მოამაგე ჩვენი გრიგოლ ლალიძე, მაგრამ სამსახური მაინც სჭირია, გავა კიდევ ორი სამი წელიწადი, დირექტორობას მიიღებს და ნაფიც მოღვაწეთა რიცხვში ჩაეწერება .. არ ეკუთნის თუ? ახონება კარგი აქვს, ხმა უკეთესი და მუშტი კი უფრო უკეთესი.

— რას შეჰყურებ, ბიჭო, ,,შტაბს'' ათვალიერებ? მომესმა ამ დროს ერთი ჩვემი კარგი ნაცნობის ხმა და ფიქრი შემაწყვეტინა.

მოვიხედე, გვერდით მომჯდომოდა მეტისმეტი ახირებული და მოუსვენარი უპარტიო იქსი.

— რა შტაბზე ლაპარაკობ? გავიკვირვე მე.

— ვითომ არ იცი, რომ დღეს ჩვენი ორმაგი მოღვაწეები- თავპირის დამტვრევას გიპირობენ.

— რათა?

— იმიტომ, რომ თქვენ უზრდელად ექცევით მათ: არ გწამთ არც მაგათი დემოკრატობა და არც პატრიოტობა!

— ვინ მოგახსენათ! ჩვენ ყველა გვწამს, ვინც ჩვენს უბედურ ქვეყანას სამართლიანობის გზაზე აყენებს.

— ახლა მაგათ ჰკითხეთ? ხომ გახსოვთ, რას გიწერდენ: „სანამდი რომელიმე „მიმართულებას" თავისი იდეოლოგია არ გააჩნია.., მათზე მესვეურობა შეიძლება და არა მათთან დიპლომატიურის მოლაპარაკების გამართვა შეთანხმება გაერთიანების შესახებ... მათ (ე. ი. თქვენ) არავინ დირიჟორობის ჯოხს არ შესთავაზებს, რადგან ამ შემთხვევაში მთელი საქართველო დირიჟორებით აივსებოდა და საღირიჟოროც არავინ იქნებაო." (იხ. „მეგობარი" № 121, თებერვლის 28 თარიღით) მართალია, ამ სტრიქონებს ცოტა ტირანული სუნი უდის, რაც არ შეეფერება დემოკრატებს, მაგრამ თუ კი ამის ღირსნი ხართ, თქვენც უნდა იკისროთ მათი ფარქოსაძე-ლალიძეების დირიჟორობა

— ღმერთმა ისინიც შეინახოს და მათი მესვეურობაც. სწორედ თავადთა კარის კაცების დაწერილია ეს სტრიქონები თორემ დემოკრატი-მამულიშვილები როგორ იკადრებდენ ასეთი სისულელის მოჩმახვას და ბატონ-ყმობის ქადაგებას? განა ბ. კიტამ, ან პეტრემ, ან იაკობ ფანცხავამ, ან გრ. გველესიანმა არ იციან, რომ ჩვენ ვასრულებთ ილიას პროგრამას „საქართველო თავის თავს უნდა ეკუთვნოდეს" განა ამ ფრაზის შინაარსი მთელი პროგრამა არ არის? ამას წინად, არჩილ ჯორჯაძის გახსენების დროს, განა ამავე პროგრამას არ ეყრდნობოდა თვით თავადი კიტა? დიაღ! თვით თავადი კიტა არ იკადრებს ვეკიჟინოს ჩვენ უპროგრამობა

— ჰმ!... ჩაიცინა ჩემმა უპარტიო ნაცნობმა.

— ხმუკი! რა იყო?

— შენ არ იცნობ თავად კიტას იცი რა უთხრა მას ერთხელ სულმნათმა აკაკიმ?

— რა?

— თქვენ სოფელში ხე არ იზრდება სწორეთ და შენ როგორ გაიზრდებოდი სწორე გულისთქმისაო.. გარეგნულად დემოკრატი ხარ და გულით კი ძველი ფეოდალიო...

— აკაკი გენიოსი, ენამ მახვილი კაცი იყო....

— ეს სრულებითაც არ ამართლებს თავად კიტას. ნახე დღეს რა ფოკუსები გააკეთოსო!—ცოტა არ იყოს წყენით მითხრა ჩემმა მეგობარმა და ერთ ხანს გაჩერდა.

მე ძალაუნებურად დავაცქერდი კიტას და გავიფიქრე: ერთად ვმუშაობდით ილიას „ივერიაში„, კარგად მიცნობს, კარგად ვიცნობ და ნეტა რათ აჯლაბნინებს ფარქოსაძე-ლალიძეს ათას არა საკადრის წერილებს მეთქი.

— კარგი! დაარღვია სიჩუმე ჩემმა ნაცნობმა და განაგრძო:—ვსთქვათ, დღეს თავად კიტას დიდი საქმეები აქვს. ხშირად თავის გაზეთს ბალღების ამარა სტოვებს, რაც ეპატიება მდგომარეობითაც გადიდკაცებულ თავადს, მაგრამ პეტრეს რაღა ღმერთი გაუწყრა, რომ მოღვაწეებში ჩაეწერა. კარგად იცნობ შენ პეტრეს?

— ცნობილი კაცი რომ არ იყოს, სანფარების ჯგუფშიაც არ იქნება განა

---

*) ერთს პატივცემულ პირს კარებში შესვლის დროს უბიდან 250 მ. ამოართვეს. აპ.

რჯა, მათი გონების მოშხამვაა! ასეთი შხამი უკვე გადმოანთხიეს მოწაფეებმა იმ საღამოს კრებაზე: როცა მათი უფროსი ლაპარაკობდა და ფედერალისტების მოგონილ ჭორს კრიტიკა გაუკეთა, ქანდარიდან თავისმავე მოწაფეებმა დაუყვირეს: სტყუი, არ არის მართალი, სტყუიო' რა შედეგიც მოჰყვება ასეთ უპატივცემლობას უფროსისას, ეს, დაე, ფედერალისტებმა ზიდონ თავის კისრით

5) კრებაზე მოიყვანეს ხანჯლიანი მეკენჭეები, რომლებიც მზად იყვნენ იარაღი ეშიშვლნათ. მოუყვანიათ აუარებელი კნეინა-კნიაჟნებიც, რომელნიც კვლავ არც ერთ საზოგადო საქმეში არ გვინახავს.

6) გამგეობამ გადააფუჩეჩა ის ოქმი, რომელიც ადასტურებდა საწევრო ფულის დაკლების გადაწყვეტილებას.

7) საზოგადო კრების თავმჯდომარემ თავ. კიტა აბაშიძემ მოწინააღმდეგეებს სიტყვის ნება არ მისცა (მაგ. ევგენი გეგეჭკორს და სხ.)

8) მათმა კლაკიორებმა სიტყვა არ დაათავებინეს გრ. გიორგაძეს, რომ ამ კრების სრული უკანონობა და არადემოკრატიული ხასიათი დაემტკიცებინა.

9) თავის კლაკიორებით, უდიერ-მოპყრობისა და ცალმხრივობის გამო აიძულეს თავისი მოწინააღმდეგენი კრება დემონსტრატიულად მიეტოვებინათ...

10) ფედერალისტებმა შეთხზეს ჭორი, ვითომც ჩვენ და დასელებს გადაგვეწყვიტოს, არც ერთ ჯგუფს არ მიგვეცა ადგილი კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელთა კავშირის ბიუროში; ვითომც სიაც შეგვედგინოს და ამ სიიდან ესფერები სრულიად გამორიცხულნი ყოფილიყვნენ. თავადი კიტა აბაშიძე არწმუნებდა კრებას, რომ ეს ასეა და ჩვენც იმიტომ გავდევნეთ არჩევნებიდან ჩვენი მოწინააღმდეგენიო. თავადმა კრებაზე კიდეც დაასახელა ამ სიის ავტორთა შორის ბ-ნი ს. დ. კილაძე და ალ. თორაძე.

ამ განცხადებამ ისეთი აღტაცება გამოიწვია თავ. კიტას მომხრეებში, რომ სიხარულით კინაღამ თეატრი არ დაანგრიეს.

მართალია, ბ-ნმა ს. კილაძემ და შემდეგ ალ. თორაძემაც ასეთ მათ განცხადებას უტიფარი ცილისწამება უწოდეს და შეჰპირდენ კიდეც კრებას ამის დამტკიცებას, მაგრამ დროზე და ხერხიანად გადმოსროლილმა ჭორმა თავისი გავლენა მაინც მოახდინა და ბ-ნ კიტასა და მის ამყოლ ჩამყოლებს, იმ ჟამად მეტიც არა უნდოდათ რა.

ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ არავითარი ასეთი სია და გადაწყვეტილება არ არსებობს, ვინაიდან დანამდვილებით ვიცით, დღევანდლამდე დასელები იმ აზრისა არიან; რომ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის ბიუროში თავისი კაცი არ იყოლიონ, რადგანაც ბიურო, სხვათა შორის, სხვა და სხვა თხოვნებითა და პეტიციებითაც აპირობს თავის საქმეების მოწესრიგებას და ასეთი გზა კი ჩვენ დასელებს არა სწამთ.

იცოდენ თუ არა ბ-ნმა ჩვენმა ფედერალისტებმა მთელი ჯგუფის ასეთი გადაწყვეტილება, და თუ არ იცოდენ, რა ნება ჰქონდათ რაღაც ჭორებს აჰყოლოდენ და საზოგადო კრებაზე ეს ჭორი სინამდვილეთ გამოეტანათ კრების ალსაშფოთებლათა და თავისიანების გასათეთრებლად? განა ეს არის დემოკრატობა და ყველა არსებულ ჯგუფის უფლების დაცვა, რომლისთვისაც ვითომ თავს იკლავენ ჩვენი ფედერალისტები?

ეჰ, რა სთქვას კაცმა!...

ერთი შენიშვნა კიდევ, ეს, რასაკვირველია, სხვათა შორის:

ფედერალისტები ქვეყანას აყრუებენ: ერთადერთი პირისუფალი ქართველი მშრომელი ხალხისა—ჩვენა ვართო. კრებაზე კი მათ მხრივ დემოკრატია არ გვინახავს. იყო ერთად ერთი „მუშა“ ბ-ნი ქ—ი, მაგრამ ისიც „მუშაა“, და ან ჰქონდა თუ არა უფლება კრებაზე დასწრებისა, ეს კიდევ გამოსარკვევია. მათი მომხრეები იყვნენ მხოლოდ თავადები, ბანკის მოსამსახურე-მოხელეები, მასწავლებლები, კნეინა-კნიაჟნები, ტანისამოს გამოცვლილი და თავის ღირსების უარის მყოფელი სტუდენტები, კლაკიორი მოწაფეთაგანნი და ღაბა-სოფლებიდან ჩამოსული მეგობარ-ნაცნობები.

ჩვენი ღრმა რწმენით ყველა ამათ არაფერი საერთო არა აქვთ რა არც იმ მოძღვრებასთან, რომელსაც ჩვენი ფედერალისტები ქადაგობენ და არც დემოკრატიასთან.

ამგვარად, ჩვენ დავმარცხდით არა მორალურად, არა ფედერალისტების მოძღვრების ძლიერებითა და ზნეობრივ გავლენით მშრომელ ხალხზე, არამედ დავმარცხდით ფიზიკურად, ათასგვარის ხრიკებისა და მახინაციის წყალობით. ეტყობა, ძველ დასს—ფედერალისტებს, ამ 15—16 წლ. განმავლობაში ყოველივე არადემოკრატიული და ხალხის თვალის ასაბმელი საშუალებანი კარგად შეუსწავლიათ, თუმცა ჩვენც ძალიან დიდი შეცდომები მოგვივიდა. აღვნიშნავთ უმთავრეს, შეცდომებს:

ა) პირველ ყოვლისა უნდა მოგვეთხოვნა წევრთა სიების შემოწმება და როცა დავინახავდით, რომ ოცი, ორმოცი და ასი მათი კაცი ნისიად იყო შემოშვებული, კრებიდან უნდა გაგვედევნა ნისია წევრები

ბ) რაკი გამგეობამ ფეხით გასთელა დემოკრატიული პრინციპი და კრების დაუდასტურებლად, შეუკითხავად მანათიანი საწევრო ფული სამ მანათიანად გადააქცია, უნდა მოგვეთხოვა, რომ არჩევანი მხოლოდ ძველ წევრებს მოეხდინათ

გ) რაკი ცხადი შეიქნებოდა, რომ კრებაზე მონაწილეობას იღებდა ბევრი ნისიათ შემოსული და სოფლებიდან საგანგებოთ ჩამოყვანილი ხანჯლოსნები, ახალი წევრების არჩევა კრების ბოლოსათვის უნდა გადაგვედო.

დ) რაკი ჩვენმა კანდიდატმა, სამწუხაროთ, უარი განაცხადა კენჭის ყრაზე, სხვა ვინმე უნდა დაგვესახელებინა, ყუთი დაგვედგა მისთვის და მაშინ დავინახავდით მოუვიდოდა ბ-ნ კიტას იმდენი კენჭი, თუ არა?

მაგრამ ტყვილად კი არ გვიძახიან მოუმზადებლებს, ახლად გამოსულ ჯგუფს!..

დიაღ, ვიმეორებთ, ჩვენ დავმარცხდით და ეს დამარცხება ჩვენი, სიხარულის ბუქნას ასტეხს ჩვენი მოპირდაპირეთა ბანაკში, ჯერ კიდევ ბევრ უსიამოვნებასა და და ცინვას შეგვახვედრებენ, მაგრამ მე ღრმათა მწამს, რომ დამარცხებული არ არის ჩვენი იდეა - იდეა სამართლიანობისა, ხალხოსნობისა, დემოკრატობისა და ქართველთა ნამდვილ საჭიროების სამსახურისა. გავა დრო, ჩვენც გავიწაფებით (არა ეშმაკობაში, რასაკვირველია) ჩამოგვშორდებიან ისეთი ელემენტები, რომელნიც დღეს თავის პირადობას, თავის დღევანდელ მდგომარეობას, ხალხოსნურ იდეაზე მაღლა აყენებენ, და მაშინ დავინახავთ: ვინ იქნება გამარჯვებული: ხალხის ნამდვილი გულშემატკივარნი, თუ ისინი, ვინც ხალხის სახელით ბუზმენტებში ეხვევიან!

დიაღ, რაც უნდა სთქვან ჩვენმა ფედერალისტებმა, ამ დამარცხებაზე შენდება საძირკველი ეროვნულ დემოკრატიული ჯგუფის იდეების ბრწყინვალე გამარჯვებისა და ამიტომ იმედიანად შევყურებთ ჩვენ ახლო მომავალს!

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქ. ეთნოგრაფიულ-საისტორიო საზოგადოების მუზეუმისათვის ტ. მარგველაშვილს გადასცეს: სტუდ. გოგი კოკოჩაშვილმა 1 სვანური ჯოხი „მუჯურა“, 1 ფირფიტა 14 დედალ-მამალ სვანურ ვერცხლის ღუგმებით, ექიმა შ კოკოჩაშვილმა 1 თათრული ქაღალდის ფული, 5 თათრული ვერცხლის ფული; თ. დ ლევან დადეშქელიანმა: 1 ციხის თოფი სავარაუდოლ ციხიდან, „მუჯურა 1 ფაყ“ სვანური ქუდი; ელ. ალშიბაის მეუღლემ ქალბატონმა ვერამ—1 ძველი თოფი და 1 ლეკინის საჭურჭლე; თ დ ბეგლარ დავითისძე დადიანმა—5 ხელნაწერი სამეგრელოს მთავრის მანუჩარ კაციას ძის დადიანისაგან გაცემული საბუთები; მანვე მიიღო აგრეთვე ერთი ვერცხლის ფული და 5 ტყვია ზარბაზნისა ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში ნაპოვნი.

◆ თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამართველო, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ 9 სა და 10-ს აპრილს მისალოცი დეპეშები არ მიიღება.

◆ სადგურის გადაღმა უბნელები გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მათ უბანში ამ ბოლო ხანს ძალზე გახშირდა ქურდობა და ჯიბგირობა, 10 საათის შემდეგ ქუჩაში გავლა შეუძლებელი ხდება. ჯიბგირები არ ინდობენ არც ბავშვებსა და არც მოზრდილთ. ართმევენ რაც კი ხელში მოხვდებათ, ასე გაშინჯეთ—წიგნებსაც კი საჭიროა ამ გარემოებას ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

◆ დაჯარიმება. ქუთაისის გუბერნატორმა ღვინის ვაჭრობისათვის ოცდახუთ ხუთი მანეთით დააჯარიმა დ. ზესტაფონის ვაჭრები ბაქლა ქლენტი და მიხეილ არაბიძე.

იარაღის ნება დაურთველათ ტარებისათვის ქ. ქუთაისის მცხოვრები ერისტო კვიმსაძე 25 მანეთით, დავით მილორავა, შაბათა დათიაშვილი და იროდ ჩიქოვანი ხუთ-ხუთი მანეთით,

შორაპნის მაზრის მცხოვრები ებრაელი აბრამ წვენიაშვილი დარაჯის შეურაცხყოფისათვის სამი დღის ციხით

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა ატყობინებს გუბერნატორს, რომ ქალაქს მობილიზაციის დროს დაეხარჯა: ა) ბინის დასაქირავებელი ჯარის კაცთათვის 43,150 მან 51 კაპ. ბ) ,,სბორნი პუნკტის‘‘ მოსაწყობათ 7191 მან. 7 კაპ. ამ დახარჯულ ფულში ქალაქმა ავანსათ მიიღო მხოლოდ 2000 მან. და გ) შენობის შესაკეთებლათ 7982 მან. 84 კაპ.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლათ მდგომარე წლის 28 იანვრის საბჭოს დადგენილება, რომ ქალაქისა და საერობო კასიდან გაიხარჯოს 50,000 მან. ქალაქის საზოგადო ბანკის დასაარსებლათ ქუთაისში.

◆ პროვიზორმა ნიკ. გრიგოლიამ კვლავ აღძრა შუამდგომლობა ქუთ. გუბერნატორის წინაშე ქუთაისში აფთიაქის გახსნის შესახებ.

◆ თანახმათ ქუთაისის გუბერნატორის ცირკულიარისა, ყველა მაზრის უფროსებმა წარმოადგინეს 1915 წ. განმავლობაში მათდამი რწმუნებული [illegible] რაოდენობა შემთხვევების [illegible]

◆ ხვალ, სიღამოს 7 საათზე, [illegible] ქის მრეწველთა საბჭო[illegible] დება ქუთაისის სასოფლო [illegible] ზოგადოების წევრთა კრება, რომელზეც განიხილვენ შემდეგ საკითხებს: ა) მევენახობის მდგომარეობა ჩვენში და საწამლი მასალები; ბ) სამეურნეო საზოგადოების უახლოესი მიზნები; გ.) მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის თესლის შეძენა; დ.) სათესლე და საკვები სიმინდი ქუთაისის მაზრაში ახალი წევრების მიღება.

◆ მწვანე ყვავილის მცხოვრები პავლე ფურცხვანიძემ ორ აპრილს საღ. 5 საათზე თავი დაიკლა დანით მიზეზი გამოურკვეველია

◆ მეფის ნაცვლის კანცელარია ატყობინებს კავკასიის ყველა გუბერნატორს, რომ მოახდინონ განკარგულება მათდამი რწმუნებულ გუბერნიებში. რათა ყველა მცხოვრებთ ჩამოერთვას ვინტოვკის თოფები და ნაგანის რევოლვერები რომელშიც მიეცემათ განსაზღვრული ფასი. ვისაც აქვთ ზემოაღნიშნული იარაღი ყველანი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო სამმართველოებში რისთვისაც მიეცემათ განსაკუთრებული კვიტანციები.

◆ გუშინ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მე 8 კლასში მოხდა რუსული ენის წერითი გამოცდა გამოცდას დაესწრო სასწავლო ოლქის წარმომადგენელი ბ-ნი ზახაროვი.

◆ კვირას, 3 აპრილს, ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნული იყო ღარიბ ბავშვთა დამხმარე საზოგადოების წევრთა კრება, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო არ შესდგა,

◆ ფოთის ქალაქის მოურავმა ქუთაისის გუბერნატორს დასამტკიცებლათ წარუდგინა 26 იანვარს და პირველ მარტს ქალაქის საბჭოს სხდომის ოქმი

ღია წერილი

ქუთაისის დრამატიული საზოგად. მოლარეს ბატონ სამსონ დავითის ძეს კილაძეს.

უმორჩილესად გთხოვთ გაზეთის საშუალებითვე გვიპასუხოთ: გქონდათ თუ არა 2 აპრილის საღამოს შვიდი საათისათვის ყველა წევრისაგან შემოტანილი ფული მიღებული თქვენ როგორც საზოგადოების მოლარეს, და კრების დაწყებისას გქონდათ თუ არა შედგენილი სათანადო ოქმი, და თუ არა გქონდათ, რა უფლებით შემოუშვა გამგეობამ კრებაზე ფედერალისტებისაგან წარმოდგენილ დამატებით სიაში მოხსენებული პირნი და მიაღებია მათ მონაწილეობა კენჭის ყრაში, მას შემდეგ, როცა ჩვენი სიები წარმოდგენილი იყო და გამგეობამ უკვე გაიგო რაოდენობა ჩვენის ხმებისა? როდის მიიღეთ ამ სიით ხვედრი ფული და თუ **ნისიად** იყვნენ იგინი დაშვებულნი, რატომ არ განაცხადეთ ეს გარემოება კრების დაწყებისას?

შეგვატყობინეთ აგრეთვე გამგეობისაგან კრებაზე **ნისიად** დაშვებულ წევრთა რიცხვიც.

„სამშობლოს“ რედაქცია.

3 აპრ. 1916 წ.

ქართული პრესა.

„ახალი კვალი“ ჩვენსა და ფედერალისტების შორის დამოკიდებულების შესახებ შემდეგსა სწერს:

ჩვენ წინააღმდეგ სამი პარტია შეერთდით, ბლოკი შეჰკრით დასელებმა, ნაროდნიკებმა და ნაც.-დემოკრატებმა, მარა ჩვენზე მეტი ბევრი თურმე მაინც ვერ მიიღეთ. რამდენით მეტი იყო თქვენზე იქ დასელების ძალა, ეს თქვენ კარგათ იცით, ამაზე ლაპარაკს რომ თავი დაანებებდეთ ის გირჩევნიათ. ამ ძალის [illegible] რატესობა იყო სწორედ, რომ შეთანხმებაზე დაჰყვებოდით ლაპარაკი რაც შეეხება ბლოკ[illegible] ახლაც ამას იმიტომ გაიძახით, რომ გსურთ ვინმე გულუბრყვილოს თვალი აუხვიოთ. ჩვე[illegible] მოვუყენეთ როგორც გამგეობაში, ისე კულტურულ საზოგადოებაში, რომელიც ურ[illegible] შეეფერებოდა ამ ჟამად საზოგადოების ინტე[illegible] რესებს. რომ არავითარი ბლოკი არ ყოფილა ამას ერთი მხრით მოწმობს ესერების წარმომადგენლების განცხადება თქვენ გაზეთში, [illegible] იგი სწერს, რომ არავითარი ასეთი მ[illegible] ლაპარაკება არ გვქონიაო. ამასვე ადასტურ[illegible] ნაც.-დემოკ. ორგანო „სამშობლო“ 2 აპ[illegible] ლის ნუმერში. ამას რომ თავი დავანებო[illegible] თვით ალ. გარსევანიშვილმა, რომელსაც თქ[illegible]

იცი, რომ ეს ატრიალებს მთელ მათ პარტიას?

— ვიცი!

— მაშ, რაღას მეკითხები?—ჩემმა მობაასემ ერთხელ კიდევ დაიზმუყუნა, სიტყვა ბანზე აგდო და განაგრძო.

— არც იაკობს იცნობ კარგად, არც პიპინიე მიქელაძეს? როგორც არ დაგკლავ, იაკობი სანფარი არ არის, მაგრამ ეშინიან, დირექტორობა არ დავკარგოვო და დღეს ყველას ყურმოჭრილი ყმაა ის კაცი, რომელსაც პროფესორად სტოვებდენ ;ის კაცი, რომელიც დიდი შემატება იქნებოდა ქართული მეცნიერებისათვის—გეფიცები. მართალს ვამბობ— [illegible] თანა განვითარებული ქართველი [illegible] არა გვყავს, მაგრამ დღეს-კი... ეხ! [illegible]ახერი ცხოვრება! ხანდახან მართალს [illegible]ბობენ ჩვენი ესდეკები „გარემოება ჰქმნის მდგომარეობასო. არც ბ. სილოვანს იცნობ?—

— დამანებე მეთქი თავი! გულმოსულად შევსძახე მეგობარს და ზეზე წამოვდექ

მხოლოდ ახლა დავინახე, რომ თეატრი ხალხით გავსებულიყო. დარბაზი ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა.

ქანდარაც ხალხით გაჭედილიყო. ქალები, ვაჟები, მოწაფეები ერთმანეთში არეულიყვნენ..

დარბაზი გუგუნებდა, ირხეოდა, ტოკავდა. სცენაზე წითელ მაუდ გადაფარებულ მაგიდას შემოსხდომოდენ გამგეობის წევრები. ბატონი კრინიცკი შუაში ჩამდგარიყო და ზარს აწკარუნებდა.

ყველას რაღაცა უცნაური იერი დასდებოდა, გეგონებოდათ, ქუხილს მოელიანო, ისე დაღესილიყვნენ..

— ბატონებო! დაიძახა თვით ბატონმა კრინიცკიმ—წესდების ძალით, როცა კრებაზე გამოცხადდება განსაზღვრული რიცხვი წევრებისა, კრება კანონიერად უნდა ჩაითვალოს. დღეს კი, როგორც ხედავთ, დარბაზი სავსეა (ეშმაკურად იღიმება ხალხი ზრიალებს) მე კრებას ვხსნი, გთხოვთ ამოირჩიოთ თავჯდომარე.

როგორც ელვა, ისე გავარდა ეს ხმა დარბაზში და ამას მოჰყვა საშინელი გრგვინვა.

— კიტა აბაშიძე... კიტა! კიტა! ვენაცვალეთ კიტას. დარბაზში მყოფმა ქალებმა ტაში გაახურეს. კიტას მომხრე ვაჟებმაც იერიქონის საყვირებივით დაიგუგუნეს.

— არ გვინდა, არა! ძირს კიტა! ყვიროდა ასი და ორასი სხვა ხმა.

— კიტა! კიტა! აყრუებდენ მიდამოს მისი მომხრენი და ისე ულმერთოდ ურტყავდენ ტაშს, თითქოს სახელმწიფო ხელები ჰქონოდესთ ყველაზე ხმამაღლა ჰყვიროდენ ტანისამოს გამოცვლილი სტუდენტები და ქანდარაზე მყოფი მოწაფეები. (რა უფლებით? ეკითხოს გამგეობას). შემეცოდა აგრეთვე „აქიმი“ გ. ბადრიძეც. სხვა დროს, როგორც „აქიმი“, უეჭველია, თავის პაციენტსაც კი დაუშლიდა ისე მაგრათ ტაშის დაკვრას, როგორც თვითონ უკრავდა.

დარბაზში ჯოჯოხეთი გამეფდა. გეგონებოდათ, „მთელი ქვეყნის ალქაჯებს თავი მოუყრიათო. სწორედ გედევანიშვილის პიესის ის ადგილი გამახსენდა, როცა ეშმაკები მოელიან ჯიმშერ-მეფის შვილს—ავთანდილს.

ამ ღრიანცელში მტკიცე ნაბიჯით სცენასა და პარტერის შემაერთებელ ხიდზე, მართლაც რომ, ავთანდილივით ყოჩაღად გავიდა ბ. კიტა...

ტაში გაცხოველდა.

(მოწინააღმდეგენი ყვირიან, უსტვენენ. ხალხი ღელავს, არის ერთი შეხლა-შემოხლა და ვაი-უშველებელი. ლოჟიდან პეტრე ლამის სახარულით გადმოვარდეს. ქანდარაზე მოწაფეები აჭყეპდნენ, ქალები წიოკობენ)

— ვაშა, ვაშა!

— არ გვინდა, არა!

— ღმერთო, რა ჯიუტია ეს კიტა, ხომ ხედავს, რომ კრების ერთ ნაწილს არ უნდა

— დაიწყეთ თავმჯდომარეობა!

— ძირს... ძირს .. კენჭი. . ყუთი!

— დაასახელეთ მეორე კანდიდატი! გაისმოდა აქეთ-იქიდან.

ყურთა-სმენა აღარ იყო

კიტა იძულებული შეიქნა პარტერში ჩამოსულიყო.

გაისმის გახურებული ტაში, მაღლა ქანდარაზე მოწაფეები ლამის ბაყაყებივით დაიბერნენ.

— ბატონებო - ყვირის თვით ბ-ნი კრინიცკი, დაასახელეთ მეორე კანდიდატი .. ერთი ხომ გვყავს—ბ-ნ კიტა.

(მოწინააღმდეგენი შემოხვევიან ბ-ნ ილიას ჩიქოვანს და სთხოვენ ყუთი დადგას. ბ. ილია არა დათანხმდა.)

— კიტა! კიტა! კიტა! კიტა!

(კიტა მეორედ გადის ხიდზე. ბ. აკაკი ფაღავა, ლადიძე, გუგა ფარქოსაძე და კრინიცკა აღტაცებით აგებებიან, ნამეტნავად გუგუმ აღარ იცის, როგორ გამოსთქვას თავისი სიხარული, გარშემო უვლის კიტას, ლამის [illegible] კალთები დაუკოცნოს)...

— შენ იცი ვინ არის გუგა ფარქოსაძე? ჩაჩურჩულა ამ ვაი-უშველებლობის დროს ჩემმა მეზობელმა.

— ეშმაკმა შენც წაგიღოს და ისიც!.. რა დროს ეგ არის ამ ვაი-ვაგლახში და ყურებზე ხელი დავიფარე..

ჩემ გვერდით ერთი ტანისამოს გამოცვლილი სტუდენტი, დაჭრილი დათვივით ბღაოდა.

— გაუმარჯოს კიტას! კიტა, შენი ჭირიმე, კიტა!.

— არ გვინდა არა! ძირს! ძირს!

ერთი თავადი ხანჯალზე ხელს იდებს და გაჰყვირის. კიტა! კიტა! მას ბანს აძლევს ჯაბა იაშვილი და ვიღაც მდივანი, გახურებულ ტაშს ურევენ ფუტურისტების [illegible]. ვეღარას ვარჩევ უკვე სცენაზე ადის ბ-ნი კ. ჩაჩვაძე, რადგას ყვირის ბ-ნ კრინიცკის, ბ-ნ კიტა აბაშიძეს, სცენაზე თავიბირთ, გუგა ფარქოსაძე ყველას ფეხებში ებლანდება, აღარა ისმის რა. ბოლოს კიტა აბაშიძე ძირს, პარტერში, ჩამოდის...

ისმის ტაში გრიალი მოწინააღმდეგეთა და სცენაზე თითქო ეჩინ-მაჩინის ქუდი ახურესო, ჩნდება ერთი ყუთი.

— დაასახელეთ მეორე კანდიდატი, ნაციონალისტებო... ნუ შეგვარცხვინეთ... ფუ, თქვენს მომხრეებს, თუკი კანდიდატიც არა გყავდათ, რაზე ირცხვენდით თავს!...

უსაყვედურებდენ მოწინააღმდეგეთ. კიდევ გაისმოდა რაღაც ყვირილი, შეკითხვა, რიგი ყუთს მოითხოვდა, რიგი კრების დაშლას, რიგი ქანდარას ემუქრებოდა, რიგი უსტვენდა, რიგი ხაოდა და ხიხინებდა. ლამაზი, კოპწია ცირები ოფლში სცურავდენ და ხელსახოცის ქნევით სახეს იგრილებდენ.

ძლივს დასრულდა ტრიამული და ყუთი მარტო ბ-ნმა კიტა აბაშიძემ დაიდგა ძალთა განწყობის გაგების მოლოდინში, ყველანი ნიბლია ჩიტებივით გავინაბეთ და ბეღურებივით მზერა ჩამოვყარეთ.

დაიწყო კენჭის ყრა. ხალხი წელნელა დაწყნარდა და ბოლოს იმდენად დაშოშმინდა, რომ მკაფიოდ გაისმოდა ხმა ბ-ნის ალ ჩხეიძისა (ბანკის მოხელეა).

— ასათიანი... ასათიანი .. ასათიანი...

აბელდიანი... აბელდიანი .. აბელდიანი.

ბ-ნი კრინიცკი ღიმილით ეგებებოდა თავისიანებს და გულმოდგინეთ უხსნიდა:

— აი, ის შავია, აი, ეს კი... თეთრი...

ია ვკადაძე.

(დასასრული ხვალ)

ბლოკის კანდიდატს უწოდებთ, ამავე კრებაზე ჩვენი კანდიდატების სიას თავისი საკუთარი სია არ დაუპირდაპირეთ! სად მოგისწრებიათ ბლოკისტები ერთმანეთის სიას უპირდაპირებდნენ! ან შეიძლება, რომელიმე პარტიების სიაში შეტანა თქვენ ბლოკათ მიგაჩნიათ!.. ეს თუ ასეა, მაშინ თქვენ მიერ წამოყენებულ სიასაც ბლოკისტების სია უნდა უწოდოთ, რადგან მასში თითო-ოროლა დასელი და ნაც.-დემოკრატიც ერია. მარა მოგეხსენებათ, რომ თქვენთან ბლოკში არავინ არ შესულა და ამაზე მეტი არ იცით რაის სწერთ!..

ფედერალისტები გვიკიჟინებენ: სოციალისტურმა პარტიამ, ჩვენ წინააღმდეგ ბურჟუაზიულ პარტიასთან ბლოკი შეკრათო. ერთი, რომ როგორც ზევით ვთქვით, არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, მერე კიდეც რომ ყოფილიყო ეს, რითი აჯობებთ. თქვენს თავს ნაც.-დემოკრატებზე მაღლა?! იმით, რომ თქვენ სოციალისტური პირბადე გაქვთ ახვეული და მათ არა? ასეთ შემთხვევაში ხომ მოგეხსენებათ, რომ კლასიური აღზრდისთვის ნიღაბ ახდილ მოწინააღმდეგესთან უკეთესია საქმის დაჭერა ვინემ ცხვრის ტყავშეგახვეულებთან რომ თქვენ სოციალისტობისათვის მართლაც უპირატესობა მოგვცეთ, ეს ხომ იმის ნიშანი იქნება რომ თქვენი ყალბი სოციალისტობა დავადასტუროთ?!..

სასაცილო ხართ, როცა თქვენ და „სახალხო" ხმა შეწყობით ერთი მხრით ჩვენ გვიკიჟინებთ: სოციალისტები როგორ შეკრით ბლოკში იმ პარტიასთან, რომელსაც სოციალიზმთან ბრძოლა დაუსახავს მიზნათ, ხოლო მეორე მხრით ნაც.-დემოკრატებს უყვირებით: ისეთ პარტიას, როგორ დაუჭირეთ მხარი, რომელსაც არავითარი ეროვნული საქმე არ სწამსო, და აქედან მერმე დასკვნა გამოგყავთ, რომ პირველი სოციალიზმს ღალატობს, ხოლო მეორე ნაციონალურ იდეას. მარა ერთი გვაბრძანეთ, ბრძენო ქედიშნო! თქვენ ალბათ არცერთი ეს არ გაგახსნიათ, (ამაში ჩვენ დიდი ხანია დარწმუნებული ვართ. მარა ზოგს ეს კიდევ სჯეროდა) რადგან თქვენ ამ შემთხვევაში ძალიან სუსტი ბრძანდებით და ის გნებავთ რომ ბლოკით არ გვერბოდეთ, დაწყებული სომხის პლუტოკრატიით და გათავებული რუსის შავრაზმელებით. მარა რათ გვინდა შორს წასვლა. განა თვით სახ. უნივერსიტეტის არჩევნების დღეს, როცა თქვენი თავის სისუსტე დაინახეთ მზათ არ იყავით ირაკლის შეგეკრათ ბლოკში? თქვენ და თქვენი წარმომადგენელი გრ. გველესიანი არ ბრძანდებოდა, რომ განაცხადეთ: შევთანხმდეთ და სამავე მიმდინარეობის წარმომადგენლება ავირჩიოთო? მერე ნუ თუ არ იცოდით რას ჩადიოდით? ჩვენთან შეთანხმებით თქვენი ღალატით, ეროვნულ იდეას ღალატობდით, ხოლო ნაც. დემოკრატებთან—სოციალიზმს.

აი ბატონებო, როგორ პოლიტიკურ თაღლითობას თამაშობთ, როცა ტაქტიკაზე იწყებთ წერას, ან მას ცხოვრებაში ატარებთ. და ეს გემართებათ მიტომ, რომ თქვენ სინამდვილეში არც ეროვნული იდეალისა და არც სოციალიზმის მატარებელი არ ბრძანდებით. ამიტომაც არის, რომ თქვენ დიდი ხანია დემოკრატიამ ზურგი გაქცია; ხოლო მეორე მხრით ჩამოგშორდათ თქვენი გულწრფელი მეგობრები და გარკვეული პოზიცია დაიკავა.

თქვენ ამას კარგათ ხედავთ და ამიტომ აღარაფერს არ ერიდებით, რომ „დაღუპული გემი" გადაარჩინოთ. კულტურულ დაწესებულებებში ცენზი შემოგაქვთ, ანდა არჩევნების ფალსიფიკაციას ახდენთ და ამით გსურთ ერთხელ კიდევ თქვენი ძალების დემონსტრაცია მოახდინოთ. მარა ამაოდ. დემოკრატია კარგა ხანია გაიწროვნა თქვენთან ბრძოლაში. მეორე მხრით ნაც. დემოკრატებმაც დაიწყეს თავის ძალების მობილიზაცია. ამას სხვათა შორის მოწმობს ბათუმში „სახ. ფურცლის" „საქართველოს" მიერ გამოდევნა.

ამ ამონაწერიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ჩვენ, როგორც უკვე ვსწერდით, არავითარი მომაკვდინებელი ბლოკი არ შეგვიკრავს დასელებთან, და ვხელმძღვანელობდით მხოლოდ სამართლიანობის და დემოკრატიულის პრინციპებით.

26 აპრილს.

26 აპრილი დიდ მნიშვნელოვანი დღეა კავკასიის ხალხთა დ კერძოთ საქართველოს ცხოვრებაში.

ამ დღიდან ქ. თფილისში მეფის ნაცვლის თავჯდომარეობით დაიწყება წინასწარი ბჭობა კავკასიის ერობისთვის კანონპროექტის შესადგენათ, რომელი კანონპროექტიც სათათბიროს წარედგინება განსახილველათ. როგორც ვიცით, მომავალი თათბირი განსაკუთრებულ ფარგლებში მოექცევა.

თათბირზე მიწვეულნი არიან წარმომადგენელნი: ადმინისტრაციისა, ქალაქებისა, წოდებათა და სხვათა, მხოლოდ იქ გამოკლებულია ერთი ელემენტი, რომლის დაუსწრებლობაც თათბირზე ყოვლად შეუძლებელია. ეს არის წარმომადგენელი სოფლისა, ანუ მიწის მუშა გლეხობისა.

კვირის 3 აპრილის გაზეთ „თანამედროვე აზრმა" ეს სამართლიანად შენიშნა, და მოითხოვა, რომ უნდა ვეცადოთ ზემორე აღნიშნულ თათბირზე აუცილებლად მივსცეთ დასწრების უფლება გლეხობის წარმომადგენლებსაც.

თუ ჩვენა გვსურს, რომ ჩვენში ისეთი ერობა შემოიღონ, რომ იგი ქართველი ხალხის ნამდვილი რეალ ინტერესების დამცველი იყოს და არა მხოლოდ ერობის სახელის მატარებელი, უსარგებლო მკვდარი რეფორმა, მაშინ, მართლაც, საერობო თათბირს აუცილებლად ისეთი პირნი უნდა დაესწრონ, რომელნიც საჭიროებენ ხსენებულ ერობის შემოღებას.

გარეშე მოხელენი, თუ გუბერნატორები, რომელთაც [illegible] მონაწილეობა მიიღონ საერობო ბჭობაში, მხოლოდ მშრალი, პოლიციისაგან შეკრებილ და ხშირად არა სწორისა და სამართლიანათ აღნიშნულ მასალით იხელმძღვანელებენ, ჩვენდა საჭირო საერობო კანონპროექტს ვერ შეიმუშავებენ.

მაშასადამე, ქართულმა პრესამ ერთხმათ უნდა მოვითხოვოს, რომ მომავალ მოწვეულ იქნენ გლეხთა წარმომადგენლებიც, რომელნიც სავსებით დაუხატვენ მთავრობას სოფლის ნამდვილ მდგომარეობასა, გაჭირვებასა და მოთხოვნილებას.

ნაალდგომევს ჩვენ დავსტამბავთ რამდენიმე წერილს ერობის შესახებ.

რუსეთი.

მთავარ მინისტრის სათხოვარი

შტიურმერმა ითხოვა, რომ მას ხაზინიდან 75,000 მან. მისცენ, რათა ამ ფულით მისთვის საჭირო ავეჯი შეიძინოს. მინისტრთა თავჯდომარის თხოვნა ვერ დააკმაყოფილეს. ეს ფული მთავარ მინისტრს ალბათ კაბინეტის თავის გემოზე მოსაწყობათ სჭირდებოდა, მაგრამ ომიანობის გამო ასეთი საჭიროების დაკმაყოფილებაც კი შეუძლებელი შეიქნა.

კონფლიქტი ომის ნიადაგზე.

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ერობათა კავშირის თავჯდომარეს, ლვოვს შორის შემდეგ ნაირი კონფლიქტი ჩამოვარდა; შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგობამ ვოლკონსკიმ თავ. ლვოვს სთხოვა, რომ ერობის კავშირის სახელით თურქესტანი გადმოხვეწილთა დასახმარებლათ სამი სანიტარული რაზმი გამოაწყოს. ამაზე ლვოვმა უპასუხა, რომ, რაკი გადმოხვეწილთა საქმეში კავშირის მოქმედებას მთავრობა ხელს უშლის, რის გამოც მან თავისი რაზმები უკვე გაუშვა, ახლა საჩქაროდ მას არ ძალუძს ახალი სანიტარული რაზმები ხელახლავ შეადგინოს. ამასთანავე თავ. ლვოვი სთხოვდა მინისტრის ამხანაგს, რომ აცნობოს მას, თუ რას ფიქრობს შემდეგისათვის მთავრობა გადმოხვეწილთა დახმარების საქმეში ერობის კავშირის მონაწილეობის შესახებ ამის საპასუხოთ მინისტრის ამხანაგობა ლვოვს აცნობა, რომ რაკი ერობათა კავშირისგან მან დაკმაყოფილება ვერ მიიღო და რაზმები საჩქაროდ ვერ შეადგინა, მან საჭირო დახმარებისთვის ტატიანას სახელობის კომიტეტს მიმართა და მასთან შეთანხმებით სანიტარული რაზმები გამოაწყო, რომელთაც ახლა ის დანიშნულებისამებრ გაგზავნის; ამიტომ მინისტრის ამხანაგი ლვოვს სთხოვს, რომ მისი წინანდელი თხოვნა მან უყურადღებოთ დასტოვოს და მის შესრულებას იგი ნუღარ შეუდგება.

რას აკეთებს ახლა სახელ. სათათბირო?

პეტროგრადიდან იტყობინებიან: თავრიდის სასახლეში დეპუტატების რიცხვი მეტად შემცირდა. კამათი და მსჯელობაც ჩაჩუმდა. საჭირბოროტო კითხვებს კვერდს უხვევენ. თუ რატომ ხდება ასე, ამაზე სხვა და სხვა ნაირი პასუხი ისმის: შემარცხნეები ამაში ბრალს პროგრესისტთა ბლოკს სდებენ; ხოლო ბლოკის ხელმძღვანელნი თავს ასეთ იმართლებენ: ამ ჟამად ბევრი პრაქტიკული სამუშაოა, რაც არმიის ინტერესთან არის დაკავშირებულიო.

ბრძოლა „კავშირების" წინააღმდეგ

„უტრო როსიის" გადმოცემით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს ბრძანება დაუგზავნა, რომ ცნობები შეკრიბონ თუ რა გავლენა აქვს მცხოვრებლებზე ქალაქებისა და ერობათა კავშირებს: ეს ცნობები იმისთვის სჭირდებათ, რომ სამინისტროსთან უნდათ დაარსონ განყოფილება, რომლის დანიშნულება იქნება ზემოხსენებულ კავშირების მავნე გავლენასთან ბრძოლა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ბალკანეთის ასპარეზი.

სულუნი. გევგელის რაიონში ხდებოდა საგრძნობელი საარტილერიო სროლა და ჩვეულებრივი წვრილწვრილი შეტაკებანი რაზმებისა.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. 2 აპრილი. დღის ცნობა. პერგოლიის რაიონში მტერი სცდილობდა იერიშები მოეტანა ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ ჩვენი ძლიერი ცეცხლის საშუალებით ვერდენის მთელ რაიონში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მაასის დასავლეთნაპირზე ტყე მოლენკურთან და 304 სიმაღლესთან ხდებოდა გაცხოველებული საარტილერიო შეტაკებანი. ჩვენმა ბატარეამ გამოიჩინა ამ ბრძოლის დროს დიდი მხნეობა, განსაკუთრებით კორებონის ტყის დასავლეთით მდ. ფორჟთან. მაასის აღმოსავლეთით ვევრის მიდამოებთან ხდებოდა საარტილერიო სროლა. ვოგეზებში მოუხდა რამდენიმე შეტაკება რაზმებისა.

სენტომარინის რაიონში ჩვენი არტილერიის ცეცხლის საშუალებით გერმანელები ძალზე შევავიწროვეთ.

პარიზი. 1 მარტი. საღამოს ოფიციალი ცნობა. არგონებში ჩვენმა ჯარმა, გამოიჩინა განსაკუთრებული მხნეობა, სანტიოებერის რაიონში დავაზიანეთ, გერმანელების საველე სიმაგრეები. მდ. მაასის დასავლეთით მანკოფინისა, და მოლენკურის რაიონებში დღის განმავლობაში ხდებოდა საარტილერიო ბრძოლანი. მორტომის რაიონში ხდებოდა სროლა მეორე ხაზით ვევრთან ხდებოდა ძლიერი საარტილერიო სროლა. დანარჩენ ფრონტებზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

ჰავრი ბელგიის ცნობა 1 მარტი ბელგიის ასპარეზზე ღამე წყნარად ჩაიარა. დიქსმიუდეს სამხრეთით ხდებოდა საარტილერიო ბრძოლა.

იტალიის ასპარეზი

რომი. 2 აპრილი. ზონესთან და ადამელოსთან, მიუხედავათ ძლიერი ქარიშხალისა, ჩვენმა ჯარმა მტერზე იერიში მიიტანა, და 300 მეტრი მაღლობი დაიკავა. ბრძოლის დროს ჩვენ დავატყვევეთ ერთი ოფიცერი და რამდენიმე ჯარის-კაცი. ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება ტრეტინოსა და ბაჩენ პლაციის მიდამოებში.

რომი. 3 აპრილი ადამელოს რაიონში ჩვენმა ჯარმა დამარცხებულ მტერს წაართვა ორი ტყვიის მფრქვეველი, მხოლოდ ერთი ტყვიის მფრქვეველი სრულიად გავაფუჭეთ.

ინგლისის ასპარეზი.

ლონდონი. ბრიტანიის მთავარ ჯართა ბანაკის ოფიციალი ცნობა. 1 აპრილი გუშინ ჩვენ მტრის არტილერიას დიდი ზარალი მივაყენეთ. დღეს ჩვენ არტილერიას მტერმა დაუშინა. ჩვენმა ერთმა რაზმმა იერიში მიიტანა მტრის თხრილებზე და თხრილებში მყოფი გერმანელები ამოჟლიტეს.

ლონდონი. ეგვიპტის ჯარის სარდალი იტყობინება: ავსტრიელთა რაზმმა მარჯვე დაზვერა მოახდინა ჯაფას რაიონში და 34 ოსმალო ტყვეთ წამოიყვანესო.

ლონდონი. მიულსის რაიონში ბრძოლის შემდეგ ინგლისის ჯარმა ორი ბეგობი დაიკავა.

რუსეთი.

პეტროგრადი. 2 აპრილი. პრემიერმა შტიურმერმა მიიღო მსახიობთა წარმომადგენელნი. მსახიობთა წარმომადგენელნი სთხოვენ პრემიერს, რომ სამხედრო ბაჟი მოხსნან სახალხო წარმოდგენებზე

სავაჭრო სამრეწველო გაზეთის გადმოცემით, პოდოლიისა, ვოლინისა კიევისა (ბესარაბიის) ღვინისა და პოლტავის გუბერნიებში ქერის მოსავალს კარგი პირი უჩანსო.

——

მდინარე ვოლგაზე ნავოსნობა განახლდა.

პეტროგრადი. უმაღლესი ბრძანებით, დაიკეტა მშობეარეთა მზრუნველი საზოგადოება.

ოდესა ქალაქში დიდი სიძვირეა, სანოვაგის ხელოვნურად გაძვირებას და მის გადამალვას ვაჭრები კვლავ განაგრძობენ.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ქედისუბანი. (რაჭის მაზრა).

არავითარი კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს, გარდა სამრევლო სკოლისა, სადაც ადგილობრივ მკვიდრთა ბავშვები ქართულ წ. კითხვას სწავლობენ, მოსწავლეთა რიცხვი სკოლაში ბევრია, ასე რომ ხშირად ადგილიც არ არის რომ მიიღონ სკოლაში ყველა მსურველი, ვინაიდან ამ სკოლით სარგებლობს აგრეთვე მახლობელი სოფელი ჯვარისა კარგს [illegible] სოფელი ჯვარისა, რომ დაეხმარებოდეს ქედისუბნელებს და ერთს საერთო ხეირიან სკოლის შენობას აგებდენ და მთავრობას მეორე მასწავლებელს მოსთხოვდენ, რადგანაც ერთ მასწავლებლისთვის ძნელია ამდენ ბავშვებთან მეცადინეობა...

საშინელმა ომმა ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო რაჭის სოფლები. ყველაფერი გაძვირდა ხელოვნურად სოფლელები კი ძველებურ უთავბოლო ხარჯს მაინც არ იშლიან. აი იწყება დღეობები. ქედისუბნის დღეობათ ამაღლება აქვს, რაც უნდა [illegible] დღევანდელ სიძვირეში, როდესაც გლეხს ყველაფერი სიკვდილი თვითეული ოჯახის ხუთი თუმანი მაინც დაეხარჯება, მერე ვინ არ იცის, თუ რა საშინელი დასასრული აქვს ჩვენში ყოველ დღეობას? კარგი იქნება ამ უბედური სიძვირის დროს მაინც გაინებებდენ თავს ამ დღეობას, იმ ხარჯით, რომელსაც ეს დღეობა იწვევს გადასდებდენ კოოპერატიულ დუქნის დასაარსებლათ და ამ რიგათ თავს დააღწევდენ ჩარჩ ვაჭრების კლანჭებს.

იმედი, ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას ადგილობრივი მღვდელი და მასწავლებელი და აუხსნიან ხალხს თუ რა ჩუდათ იფლანგება ფული ამ დღეობებში და ამ ფულით რა ადვილად [illegible] დუქნის დაარსება.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო სოფ. [illegible] ბაღდათის მცხოვრებთ, რომელთაც [illegible] ინებეს და შემოსწირეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას სასარგებლოთ გასამართავ საღამოს—ლატარეისათვის, რომელსაც მართავს „ქალთა წრე:"

კაზიმირ მაზურკევიჩს—2 მანეთი; ნატალია ფურცელაძის ქალმა—მანეთ ნახევარი, ხარი გაგემაძისამ, ივლიტე გაგემაძისამ, შუშანიკ გაგემაძის ქალმა, თორნიკე გაგემაძემ, ვასილ ნერეცაძემ, გიორგი ალექსის ძე ახვლედიანმა, კოლა მესხმა, ელენე მიხარ ჩხეიძის ქალმა, ვასილ აბულაძემ, კატუშა კახიანის ქალმა, პეტრე გორგაძემ, ჯაბულო ჩხეიძემ, ვანიჩკა ალიკოს ძე ჩხეიძემ, ვარლამ შერაშენიძემ, სიდიკ ჩხეიძემ, გიორგი კუჭუხიძემ, პლატონ ქამაკამელმა, ნინო ნადირაძის ქალმა, პელაგია ქამაკამელის ქალმა, კორნელი ფურცელაძემ, ერმილე დვალიშვილმა და ტერენტი გველესიანმა—თითო მანეთი.

ეფემია გუგუტაძემ, ლისო კვირიკაძემ, ვალენტინა ტევზელაშვილის ქალმა, პროკოფი გორგაძემ, მიხეილ შალამბერიძემ, დავით ჭუმაძემ, ერმილე წიქაძემ, პროკოფი ჩიქვინიძემ, ათანასე ჩიქვინიძემ ეკვთიმე გვინჩლაძემ, მაშო კაპანაძისამ, ალექსანდრე კაპანაძემ, სერაპიონ რობაქიძემ, სამსონ ბერიამ, თხილაშვილმა, პელაგია კერესელიძისამ, მიხეილ ფურცელაძემ ათ-ათი შაური; გაბრიელ ღომთაძემ—2 აბაზი ნადია შალამბერიძემ და პავლე აბდუშელიშვილმა ექვს-ექვსი შაური. აკაკი დვანაძემ 1 აბაზი ოლინკა ტევზელაშვილის ქალმა ნაქარგი აბრეშუმის ბალიშის პირი, დირებული 5 მანეთად. ზემო აღნიშნული 35 მან. 1 აბაზი და ერთი ნაჭერი გადაეცა დანიშნულებისამებრ ქალბატონ სოფიო იაგეს ასულს არეშიძის ხელით.

ქედა-დიმის სასწავლ. მასწავლე ქალი
გოგუცა ნიჟარაძე.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო".

ქუთაისი.
ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მიღებულია ვენახის ასაპრავი საუკეთესო ქ ი ლ ი.
იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეიო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია. 8

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ეძ. გლეზისა.

გრანული ეძ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ეძ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ახალებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავადმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ეძ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავადმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილს** სააფთიაქო მაღაზიაში.
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ეძ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ეძ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.
(წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.